ხაშურის მოამბე

№14 (95) 7 აპრილი, პარასკევი, 2017 წელი

დღეს ხარებაა - გილოცავთ!

პატარა ქალაქ ნაზარეთში ერთი მოკრძალებული ქალწული ცხოვრობდა, სახელად მარიამი. მას უფალი წმინდა გულით უყვარდა. ერთხელ მას გამოეცხადა უფლისაგან გამოგზავნილი ანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდეს! მომადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის.“ მარიამი შეკრთა, მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა: „ნუ გეშინია, მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან. აჰა, დაორსულდები და შობ ძეს და სახელად იესოს დაარქმევ. დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის, ტახტს და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული.“ მაშინ მარიამი იოსებზე მხოლოდ დანიშნული იყო და გაიოცა: „როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?“ ანგელოზმა მიუგო: „სულიწმინდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგჩრდილავს. ამიტომ წმინდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ.“ მაშინ მარიამმა თქვა: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა. მეყოს შენი სიტყვისამებრ.“

9 აპრილს ბზობაა-გილოცავთ!

ბზობა, ბაიაობა — ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაული. მოძრავია, აღინიშნება აღდგომის წინა კვირა დღეს. ქრისტიანული კულტის მსახურებაში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა, მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში, პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. იესოს მოსახლეობა ზეიმით შეეგება, ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი პალმის ტოტებს — ბაიას უფენდა, თან „ოსანას“ შესძახოდნენ. მდვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ტოტებს აკურთხებენ, გალობენ „ოსანას“ და სხვა. ბევრ ქვეყანაში პალმის მაგივრობას ბზა ასრულებს (აქედან - ქართული „ბზობა“), რუსეთში — ტირიფი.

საკრებულოს სესია

3 აპრილს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია. სესიას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე.

სესიაზე საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა. დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს ანგარიში და დაამტკიცეს.

ამავე სესიაზე, საკრებულოს წევრებმა, დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

სესიაზე, თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის გამგებელს ოძისის საჯარო სკოლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ, უზურფრუქტის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემის თაობაზე.

სესიაზე, ძალადაკარგულად ცნეს საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის №144 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და მის ნაცვლად დაამტკიცეს ახალი „ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების-სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირების პროგრამა“.

სესიაზე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის დასახლებაში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა.

ამით აპრილის თვის რიგითმა სესიამ მუშაობა დაამთავრა.

ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს აღექსანდრე ჯეჯელავას

ბატონო ალექსანდრე,

მოგესალმებით კეთილი სურვილებით და გამარჯვებას გისურვებთ იმ დასახული მიზნების განხორციელებაში, რომელიც, გვწამს, ქვეყნის კეთილდღეობისკენაა მიმართული.

გვინდა, მოკრძალებით შეგახსენოთ თქვენი დაპირება, რომელიც 2016 წლის ბოლოს, თქვენ ხაშურში, მასწავლებელთა შეკრების დროს მოგვეცით და რომელიც სოფელ ტეზრის საჯარო სკოლის სავანისუბნის დაწყებითი სწავლების კორპუსს (ყოფილი სავანისუბნის ოთხწლიანი სკოლის) რეაბილიტაციას შეეხებოდა.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პირველი ეტაპის სამოქმედო გეგმაში არ მოხვდა დაპირებული პროექტის განხორციელება.

კვლავ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რომ მეორე ეტაპის სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოთ ჩვენი სურვილი და მოხდეს ამ პატარა სკოლის რეაბილიტაცია, რაც დიდი მნიშვნელობის მატარებელია ჩვენი სოფლისთვის.

დარწმუნებულნი ვართ თქვენს კეთილ ნებაში, რისთვისაც კიდევ ერთხელ, წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით სოფელ სავანისუბნის მოსახლეობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №22

2017 წლის 3 აპრილი, ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს დასამტკიცებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “გ.ბ” ქვეპუნქტის, და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში – ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ . 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, დანართების შესაბამისად. /თან ერთვის/

2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15)

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №23

2017 წ 3 აპრილი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე

გამომდინარე იქიდან, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი მიწის ნაკვეთების რაიმე მიზნით გამოყენება, ხოლო ამ ტერიტორიების პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება მათი ღირებულების შესაბამისი თანხით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთების პრივატიზაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის,61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის “მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ №669 დადგენილების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის (ერთი ფურცელი) შესაბამისად.

2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №27

2017 წლის 3 აპრილი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №4 დადგენილების, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხებიდან, 2014-2015-2016 წლებში აუთვისებელი სახსრების ნაშთის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ, 2017 წლის 23 მარტის №557 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება დარჩენილი თანხა მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის 2 ფურცლად);

2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №26

2017 წლის 3 აპრილი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის #144 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირების პროგრამის" დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის №11 განკარგულების შესაბამისად განხორციელდა სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლების რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად ისინი გაერთიანდნენ და შეიქმნა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება“ (ს/კ 443864267). აქედან გამომდინარე, საჭიროა ძალადაკარგულად გამოცხადდეს საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის №144 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და დამტკიცდეს „ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირების პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 19-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო – საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის №144 განკარგულება.

2. დამტკიცდეს „ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირების პროგრამა“ ბიუჯეტით 128 389 ლარი დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის ორ ფურცლად).

3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ–გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის #60 დადგენილებით.

2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10 205,7 ათასი ლარის ოდენობით. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 3 475,2 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან ნაშთის სახით ირიცხებოდა - 1 103,9 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან - 2 371,3 ათასი ლარი.

2016 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 დეკემბრის №37 დადგენილების შესაბამისად, 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობამ 19 383.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 9 177,3 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს. 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ 15 481,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (16 057,9 ათასი ლარი) 96,4%-ს შეადგენს, რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადების გეგმა შესრულდა - 93,6%-ით, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულდა - 70,3%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადის - 120,3%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის - 105,6%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის - 99,2%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 107,4%-ით, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი შესრულდა - 123,5%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი შესრულდა 133,3%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 127,0%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 92,2%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 97,5%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 312,5%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობების იჯარიდან – 126,7%-ით.

ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 69,2%-ით.

2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად განაპირობა საშემოსავლო გადასახადიდან და არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავლების დაბალმა პროცენტულმა მაჩვენებლმა.

2016 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში სახელმწიფო ბიუჯეტებიდან მიღებულ სახსრების ხვეთრითი წილი 60,2%-ია, (9 312,7 ათასი ლარი), „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოყოფილია და მიღებულია 4 986,7 ათასი ლარი, მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილია 229,0 ათასი ლარი, ხოლო მიღებულია – 210,1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის" მუნიციპალიტეტს გამოეყო 856,8 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად იქნა მიღებული, ხოლო აქედან ათვისებულია 640,8 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ისეთ ღონისძიებების დაფინანსებას როგორიცაა: გარე-განათების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, გზების რეაბილიტაცია, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სარიტუალო სახლების მშენებლობა, აღჭურვა, სანიაღვრე და სარწყავი არხების მოწყობა, სპორტული მოედნების და დასასვენებელი სკვერების მოწყობა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სასაფლაოების შემოღობვა, მოსაცდელის მოწყობა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობების მშენებლობა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების საფუძველზე, ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 083,3 ათასი ლარი. რომელიც მიღებულია მთლიანად, ხოლო ათვისებულია 2 198,8 ათასი ლარი.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №1251 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეის სოფელ პატარა ფლევის ჭაბურღილისა და წყალმომარაგაების ქსელის მოსაწყობად გამოეყო 247,9 ათასი ლარი, აქედან მიღებულია 175,8 ათასი ლარი, ხოლო ათვისებულია 123,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს (2017 წლის 1 იანვრისათვის) ნაშთის სახით ირიცხება 2 465,2 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან - 1 582,9 ათასი ლარი, საკუთარი სახსრებიდან - 882,3 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთის გამოყენება გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტით, ძირითადად 2016 წლის ბიუჯეტით განხორციელებული სამუშაოების და აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად.

2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ 16 493,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 85,1% შეადგენს. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 93,5% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 13,7%), თავდაცვა - 74,2% (ხვადრითი წილი მთლიან ხარჯებში 1,1%-ს), ეკონომიკური საქმიანობა - 88,5 (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 22,8%), გარემოს დაცვა - 96,7% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 9,5%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 78,1% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 13,2%), ჯანმრთელობის დაცვა - 87,9% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 1,7%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 72,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 14,7%), განათლება - 83,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 16,4%), სოციალური დაცვა - 98,0%-ს (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 7,0%). მთლიან გადასახდელებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი - 22,8% ეკონომიკურ საქმიანობას უკავია.

ხოლო ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება - 97,5%-ით (დაგეგმილთან შედარებით 46,3 ათასი ლარით ნაკლები), სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები - 90,5%-ით (დაგეგმილთან შედარებით 112,8 ათასი ლარით ნაკლები), სუბსიდიები - 96,1%-ით (დაგეგმილთან შედარებით 185,9 ათასი ლარით ნაკლები), გრანტები - 98,5%-ით (დაგეგმილთან შედარებით 1,4 ათასი ლარით ნაკლები), სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 98,2%-ით (დაგეგმილთან შედარებით 15,5 ათასი ლარით ნაკლები), სხვა ხარჯები - 65,5%-ით (დაგეგმილთან 373,0 ათასი ლარით ნაკლები), არაფინანსური აქტივების ზრდა - 77,6%-ით (დაგეგმილთან შედარებით 2 153,7 ათასი ლარით ნაკლები), ვალდებულების კლება - 88,0 (დაგეგმილთან შედარებით 1,2 ათასი ლარით ნაკლები).

2016 წლის ბიუჯეტით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკასო შესრულებამ 4 492,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (4 676,8 ათასი ლარი) 96,1%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №60 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 23 აგვისტოს №2468 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სარეზერვო ფონდიდან 28,6 ათასი ლარის გამოყოფა, მუნიციპალიტეტის ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, აღნიშნული თანხიდან ათვისებულია 24,3 ათასი ლარი.

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების საშუალება და, შესაბამისად, ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო და წესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო– საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება. გაერთიანება მოიცავს სამ სტრუქტურულ ერთეულს: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში.

მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, სასწავლო და არასასწავლო პერიოდში.

ადგილობრივი თვითმმართველობა, აღნიშნული პროგრამით, ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში, მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად, უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 128 389 ლარი.

მუხლი 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება.

მუხლი 6. შეფასების ინდიკატორი

მოსწავლეთათვის მუსიკალური განათლების მიღება;
სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების რაოდენობა;
ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა;
მოწვეული სტუმრების რაოდენობა;
სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები:

1. ხაშური, ფარნავაზის ქუჩა, ყოფილი ვეტ აფთიაქის ტერიტორია (საკადასტრო კოდი 69.08.64.009) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1515,00 მ2.
2. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.016) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 2038,00 მ2.
3. ხაშური, იმერეთის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.60.213) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1106,00 მ2.
4. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.021) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1740,00 მ2.
5. ხაშური, თამარ მეფის ქუჩა №9-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი 3766 მ2) მასზე განთავსებული შენობა ნაგებობებით №1, №2 (საკადასტრო კოდი 69.08.58.236).
6. ხაშური, (ყოფილი „აზნეფტის“ ტერიტორია, საკადასტრო კოდი 69.03.51.002) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 220575 მ2.

სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა (2014-2015-2016 წლის ნაშთები)

N	მთავრობის განკარგულება	ნაშთი	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი/რაიონი/დაბა	საორიენტაციო თანხა	პროექტის დასახელება	შენიშვნა
1	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები(საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულება)	34085	ოსიაური	ახალსოფელი	3210	გარე განათების მოწყობა	
				ოსიაური	5 702	გარე განათების მოწყობა	
			ხალები	დიდი ხალები	1 065	გარე განათების მოწყობა	
			ალი	მცხეთიჯვარი	4 100	გარე განათების მოწყობა	
			წრომი	წრომი	1 465	გარე განათების მოწყობა	
			ცოცხნარა	ცივწყარო	6 677	გარე განათების მოწყობა	
			ქვიშხეთი	ქვიშხეთი	11866	გარე განათების მოწყობა	
2	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები(საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულება)	53981	ცხრამუხა	ცხრამუხა	30000	ბიბლიოთეკის მშენებლობის გაგრძელება	
			სატივე	დიდი სატივე	23981	საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება	
3	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები(საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულება)	121460	ხცისი	ხცისი	68000	მინი სტადიონის მოწყობა	
			ოსიაური	ზემო ოსიაური	14000	სანიაღვრე არხის მოწყობა	
			დაბა სურამი	დაბა სურამი	35396	მინი სტადიონის რეაბილიტაცის	
			წრომი	დიდი ყელეთი	4 064	გარე განათების მოწყობა	
	სულ ჯამი:	209526			209 526		

წარმატებით დასრულეს „ლიდერობის აკადემია“

28 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, საჯარო სკოლის დირექტორებს „ლიდერობის აკადემია 1“ - ის დასრულების სერტიფიკატები გადაეცათ. დაჯილდოვების ცერემონიაზე მიწვეულები იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის დირექტორი თამარ გაგლოშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლის დირექტორი მაია ჯაფარიძე, ქალაქ ხაშურის I საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტმა, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს, საჯარო სკოლის დირექტორებს სკოლის მართვის გაუმჯობესების - „ლიდერობის აკადემია 1-ის“ დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა.

„ლიდერობის აკადემია 1“ 1700-ზე მეტმა საჯარო სკოლის დირექტორმა 2016 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე პროექტის ფარგლებში შემუშავებული გრძელვადიანი კურსის ფარგლებში გაიარა.

ლიდერობის აკადემიის სამი დონე 11 ტრენინგმოდულისა და კვარტალური შეხვედრებისგან შედგება, კურსის მიზანია საჯარო სკოლების დირექტორების პროფესიული განვითრების ხელშეწყობა, რათა მათ ეფექტიანად მართონ სკოლა და შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. პროფესიული განვითარების კურსი 2016 წლის 15 აგვისტოს დაიწყო და 2018 წლის ბოლომდე ეტაპობრივად გაგრძელდება. პროგრამაში, საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლის დირექტორია ჩართული.

სრული პროგრამის წარმატებით დასრულება დაეხმარება სკოლის დირექტორებს გააუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა სკოლის კონტექსტისთვის საჭირო მენეჯმენტის მიმართულებით და გახდნენ ძლიერი, მოტივირებული და ეფექტიანი ლიდერები.

მონიტორინგის შედეგების თანახმად, ლიდერობის პირველი აკადემიის მონაწილე დირექტორთა 81%-მა მიიჩნია, რომ ტრენინგის სასწავლო მიზნები შეესაბამებოდა მათ პროფესიულ საჭიროებებს. ასევე, დირექტორთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ტრენინგმა გაზარდა მათი პროფესიული დონე და მიღებული ცოდნა დაეხმარება გახდეს უკეთესი დირექტორი.

გარდა ტრენინგებისა, პროექტის ფარგლებში დირექტორებისათვის გაიმართება კვარტალური შეხვედრები და ყოველწლიურიკონფერენციები, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა, კოლეგებს გაუზიარონ აკადემიაში მიღებული ცოდნა და პროფესიული გამოცდილება, საკუთარ კონტექსტზე დაყრდნობით შეარჩიონ საუკეთესო გზები და შესაძლებლობები.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს პროექტს აფინანსებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია და ახორციელებს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია IREX-ის ექსპერტული მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

მე-9 საჯარო სკოლა, ახალ სასწავლო წელს, სრულიად განახლებული შეხვდება მოსწავლეებს

ხაშურის, შოთა რუსთაველის სახელობის, #9 საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს ახალი სიცოცხლით დაიწყებს. ამჟამად, სკოლაში უმაღლესი სტანდარტების დაცვით და გამოყენებით, სარემონტო- სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. უამრავი ადამიანისა და მათ შორის, ჩვენი მკითხველის მაღალი ინტერესის გამო, გადავწყვიტეთ, ადგილზე მივსულიყავით და დეტალური ინფორმაცია მიგვეღო სკოლაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ადგილზე მისულებს, სკოლის დირექტორმა, ბატონმა მამუკა ხაჩიძემ გვიმასპინძლა, რომელმაც გულმოდგინედ დაგვათვალიერებინა სკოლის თითოეულ კუთხე-კუნჭულში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და დაწვრილებით გვიამბო ჩატარებული და განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. აქვე დავამატებ იმასაც, რომ საშუალო განათლება და არამარტო, სწორედ ამ სკოლაში მივიღე, ასე რომ მისი თითოეული წიაღსვლა და წარმატება ორმაგად სასიხარულოა ჩემთვის.

მამუკა ხაჩიძე: 2015 წლიდან, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა“, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, დაიწყო სკოლების შერჩევა, უმაღლესი ევროპული სტანდარტებით მათი რემონტისათვის. ხაშურიდან მხოლოდ ჩვენი სკოლა მოხვდა ამ პროგრამაში, შიდა ქართლის 10 სკოლასთან ერთად, შესაბამისად, ჩვენი თანამშრომლობაც სწორედ აქედან დაიწყო. მთლიანდ 2015 წელი იყო მოსამზადებელი პერიოდი, რაც გამოიხატებოდა იმაში, თუ რამდენად ხელსაყრელი პირობები იყო სკოლაში იმისათვის, რომ ის რეაბილიტირებულიყო და რამდენად აკმაყოფილებდა გარკვეულ სტანდარტებსა და კრიტერიუმებს. 2016 წლის პირველი ნახევარი დაეთმო საპროექტო ნაწილის მომზადებას, არქიტექტურულ ნახაზებს და ა.შ, რომელიც თანხმდებოდა, გარკვეულწილად, სკოლის დირექციასთან. 2016 წლის სექტემბრიდან კი უშუალოდ დაიწყო სარემონტო სამუშაოები. ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა გასცა ტენდერის ბრძანება და თანხებიც რეაბილიტაციისათვის მანვე გამოყო. ტენდერში გაიმარჯვა შპს-მ „ქართული სამშენებლო ჯგუფი“, რომელიც მთლიანად უძღვება სარემონტო სამუშაოებს. არსებობს კიდევ ერთი პარტნიორი კომპანია, საპროექტო ზედამხედველი, ე/ს „რომკატელი/ინდუსტრია“, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდსა და „ქართულ სამშენებლო ჯგუფს“ შორის.

- ბატონო მამუკა, საუბარში აღნიშნეთ, რომ მსგავსი ხარისხის სარემონტო სამუშაოები ხაშურში არცერთ შენობას არ ჩატარებია, რაში გამოიხატება უმაღლესი ხარისხი?

– მოგახსენებთ. სანამ სკოლაში სარმონტო სამუშაოები დაიწყებოდა, შემოწმდა მიწის გეოლოგიური მდგომარეობა 4 მეტრ სიღრმეზე, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ასევე სკოლის ფუნდამენტი. შემოწმდა კედლების მდგომარეობა და სეისმომდგრადობაც. რაც შეეხება სარემონტო მასალებს, უმაღლესი ხარისხისაა, მშენებლებიც ჩინებულად უძღვებიან დაკისრებულ მოვალეობას და თითოეულ დეტალს გულისყურით ეკიდებიან. გასულ წელს, სკოლის ორი ფრთის დამაკავშირებელი დერეფანი მთლიანად მოიშალა, ამჟამად კი - თავიდან აშენდა. ამოიცვალა სკოლის სახურავის ნაწილი. 2007-2008 წლებში სკოლის სახურავი მთლიანად გაკეთდა, წელს კი იმდენად კარგ მდგომარეობაში დახვდათ მშენებლებს, რომ ამოცვლა აღარ გახდა საჭირო, რაც შეეხება მისთვის განკუთვნილ თანხას, სხვა სამუშაოებისათვის მობილიზდა. მთლიანად ამოიცვალა საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის, ელექტროენერგიის, გათბობის მილები, რომელიც პასუხობს უმაღლეს, ევროპულ სტანდარტებს. გასულ წლებში გაკეთებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, უმეტესწილად, ფასადური გახლდათ, ამჯერად კი მდგომარეობა შეცვლილია, ყველაფერი კეთდება ძირფესვიანად და ხარისხიანად. გასუფთავდა სკოლის ფასადი ნალესისაგან, დარჩა მხოლოდ აგური, რომელიც ხელახლა, გულმოდგინედ გაილესა. რაც შეეხება იატაკს, თავის დროზე, ბეტონით იყო ნაშენი, სართულსა და სართულს შორის „სინკარებია“ დაწყობილი, მშენებლები ამ „სინკარის“ დონეზე დავიდნენ და დაიყარა წითელი პემზა, რომელსაც, თავის მხრივ, ორი უპირატესობა აქვს, პირველი ის, რომ მსუბუქია და მეორეც, ის თბოიზოლაციის მქონეცაა, ვიდრე ჩვეულებრივი ბეტონი. შემდგომში მოსწორდა სილისა და ცემენტის ნაზავით, ამ ფენაზე დაეწყო ხის მასალა და საბოლოოდ, ლამინატით გაიმართება. დასკვნაში დაიდო, რომ სკოლა ჭაობიან ადგილასაა აშენებული და მთლიანად ღობის გარშემო გაკეთებულია სადრენაჟო სისტემა და ასევე სკოლის პირველი სართულის მთელ პერიმეტრზეც აღნიშნული სისტემაა. პირველ სართულზე, 95-96 სანტიმეტრის სიმაღლეზე, კედლები შეფუთულია უმაღლესი დონის ნესტგამძლე, თბოიზოლაციის მქონე საფარველით, რომელიც თვითონ მშენებლებს აქვთ ჩამოტანილი და მსგავსი მასალით არცერთი შენობა არ გაკეთებულა.

- რა დროისთვის დამთავრდება სკოლაში სარემონტო სამუშაოები?

– 15-20 მაისისათვის მთლიანად მორჩება შენობის რემონტი და ჩაბარდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს. აქვე გეტყვით ეზოს მოპირკეთებაზეც. ისევ გამოცხადდება მთლიანად ეზოს რეაბილიტაციის ტენდერი და დაახლოებით მაისის ბოლოსთვის დაიწყება სამუშაოები, დღესდღეობით, ინფრასტრუქტურის სამინისტროში მუშავდება ჩვენი ეზოს პროექტირება, ჩვენგანაც იღებენ რეკომენდაციებს, თუ როგორ და რომელი ფართის გამოყენება იქნება მიზანშეწონილი ეზოს მოწყობისათვის.

- სამომავლოდ, როდესაც სკოლა სრულყოფილ ფუნქციონირებას დაიწყებს, დაგეგმილი გაქვთ თუ არა რაიმე სიახლე მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის და იქნება თუ არა ისეთი აქტივობები, რაც მანამდე არ იყო..

– სიახლე იქნება საბუნებისმეტყველო საგნების მულტიფუნქციური ლაბორატორია, ამ ლაბორატორიის მთლიანი ინვენტარი, ხელსაწყოები და ა.შ მაისის ბოლოს უნდა მივიღოთ. მანამდე კი საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები, ორი ბიოლოგიის, ორი - ფიზიკის, და ერთიც – ქიმიის, 8-9 აპრილს, მიდიან თბილისში ტრენინგზე, სადაც შეისწავლიან ახლადმიღებული ინვენტარის ექპლუატაციის პირობებს და უსაფრთხოების ზომებს, მიღებული აქვთ სახელმძღვანელოებიც თუ როგორ უნდა იმუშაონ ამ ახალი ტიპის ლაბორატორიაში. გარდა ამისა ,სკოლაში იგეგმება კომპიუტერული სისტემით აღჭურვა, ეს იქნება არამარტო კაბინეტ-ლაბორატორია, რაც ყველა სკოლაშია, არამედ, იქნება სკოლაში სივრცე, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს ან მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ინტერნეტით თავისუფალ დროს. ასევე სიახლე იქნება ისიც, რომ გვექნება უცხო ენის ორი კაბინეტი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ ისარგებლონ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. უცხო ენების მასწავლებელებს შესაძლებლობა აქვთ მოსწავლეებს შესთავაზონ თანამდროვე ტექნიკური საშუალებები - ე.წ. „მოსასმენები“, რომელბასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ თუნდაც ეროვნულ გამოცდებზე, ბავშვები მიდიან სკოლიდან ისე, რომ ამ პროგრამით სარგებლობის მზაობა არ აქვთ. ჩვენ კი შევეცდებით გაძლიერებულად მივაწოდოთ აღნიშნული პროგრამა.

- ვიცით, რომ ბავშვებმა სხვა სკოლაში განაგრძეს სწავლა, რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს სწავლის პროცესი და თუ უჭირთ ბავშვებს ახალ სკოლამდე მისვლა..

– დიახ, მოგეხსენებათ „კრიზისული“ მდგომარეობა გვქვს ამჟამად და გადასულები ვართ ხაშურის №5 სკოლაში. მთელი ეს სასწავლო პერიოდი ბავშვები სხვა სკოლაში დადიან და ამის გამო, კონტიგენტმა საგრძნობლად იკლო, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, როდესაც მშობლებს არ აქვთ საშუალება მეორე ცვლაში მოიყვანონ ბავშვები, იცით, რომ სამ საათზე ვიწყებთ სწავლას. თუმცა, იმ დაწყებითი კლასის მოსწავლეების მშობლებმა იმ პირობით წაიყვანეს ბავშვები, რომ სკოლის რეაბილიტაციის შემდეგ, აუცილებლად დააბრუნებდნენ. ამ მონაცემებით სკოლაში 427 მოსწავლეა, საგანგაშო მდგომარეობა არაა ამ მხრივ. რაც შეეხება ტრანსპორტირებას, 42 რეისი სრულდება იმისათვის, რომ ბავშვები უსაფრთხოდ და უპრობლემოდ მივიდნენ დანიშნულების ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი ზამთარი გვქონდა, არცერთი დღე არ ჩაგვიგდია და სწავლას შეუფერხებლად განვაგრძობთ. ბავშვთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს აღნიშნული პროექტის განხორციელებაში, სულ გვემსახურება თერთმეტი მიკროავტობუსი. 20-22 ადგილიანი და 18 სავარძლიანი მიკროავტობუსები გვემსახურებიან. ასეთ, თითქოს ქაოსურ სიტუაციაში ტემპი არ დაგვიგდია და, პირიქით, გვაქვს წარმატებებიც. სამოქოლაქო განათლების ოლიმპიადაში მარიამ მახათაძემ მე-12 კლასის მოსწავლემ, გამარჯვება მოიპოვა. ასევე გყვავს ოქროს და ვერცხლის კანდიდატები წელსაც და ეს, რა თქმა უნდა, მშობლების და ჩვენი პედაგოგების დამსახურებაა და ასევე ამ ბავშვებისა, რომლებიც არცერთ დღეს არ აცდენენ და ცდილობენ, სწავლას ბოლომდე აუწყონ ფეხი. ასე, რომ, სასწავლო პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი მე-5 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ მედეა კაპანაძეს და მთელ პედაგოგიურ კოლექტივს გაწეული სამსახურისათვის.

თ. ახალკაცი

- რაგბი -

16 წლიანთა ნაკრებში ორი რაგბისტი გვყავს, ხაშურელმა პატარა რაგბისტებმა კი ყველა გააოცეს

ხაშურელი რაგბისტებისგან კვირა არ გავა,რომ რაიმე სასიამოვნო სიახლე არ შეიტყოთ. წინა ნომერში ჩვენ ვწერდით იმ ხაშურელი ახალწვეულების

შესახებ, რომლებმაც საქართველოს 20 და 17 წლიანთა ნაკრებები შეავსეს და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის ემზადებიან. და აი, ახალი ინფორმაციაც: საქართველოს 16 წლიანების ნაკრებშიც ორ ჩვენს მორაგბეს უხმეს - ბაჩო ტეფნაძეს (სურათზე დაბლა, ცენტრში) და ბესო კუპრაძეს (სურათზე მაღლა მარჯვნივ). ბაჩო სურამის „მგლების“ წევრია, ბესო კი - ხაშურის „ლეგიონის“. ამ რამდენიმე დრის წინ ისინი, საქართველოს ნაკრების სახელით, ქუთაისში, აბუ-დაბის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. სხვათაშორის ამ ეგზოტიკურ სპორტის სახეობაა და მათი ნაკრებიც მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებმა, სადაც ჩვენმა ბიჭებმა იასპარეზეს, გაანადგურა მეტოქე და 37:7 მოუგო.

იმედია, ეს ბიჭები ასეთივე წარმატებით გააგრძელებენ ვარჯიშებს მომავალში და მათთვის 17,20 წლიანთა თუ დიდი ნაკრების კარიც გაიღება.

პარალელურად, თბილისში, ნაკრების ბაზაზე გაიმართა რაგბის ფესტივალი, რომელშიც 2007-2008 წლებში დაბადებული პატარა მორაგბეები იღებდნენ მონაწილეობას. ამ ფესტივალზე ხაშურს შალვა და რამაზ ნოზაძეების დამოძღვრილი შეგირდები წარმოადგენენ. ჩვენმა ბავშვებმა მართლაც სასწაული თამაში აჩვენეს, რაგბის სპეციალისტები პირდაპირ გაოგნებულები იყვნენ. თვითონ განსაჯეთ: მათ სამი თამაშის ჩატარება მოუწიათ, პირველში რუსთავის „ხარები“ დატოვეს უშანსოდ 40:0, მეორეში - თბილისის „აკადემია“ -45:0 და მესამეში - თბილისის „ხვამლი“ - 50:0. წარმოიდგინეთ 135 ქულა ისე „ააფცქვნეს“ მეტოქეებს, რომ თვითონ ერთი ლელო თუ ჯარიმაც არ მიუღიათ. რაც მართალია, მართალია, მათი სახით ისეთი შევსება მოდის, რომ ხაშურის რაგბმა დიდი ნაბიჯი უნდა გადადგას წინ. არც ის გაგვიკვირდება, რომ სწორედ მათ გუნდშია ის ერთი თუ რამდენიმე ვარსკვლავი, რომლებიც 10 თუ 15 წლის შემდეგ მთელ მსოფლიოს გააცნობენ თავს. ღმერთმა ქნას, ასეც იყოს!

გ. მაღრაძე

საჩუქრები - პატარებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელმა დავით ნოზაძემ, თანამშრომლებთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებულ საბავშვო ბაღებს საუკეთესო ხარისხის საკანცელარიო ნივთები და სათამაშოები გადასცეს. პატარები სიახლემ ძალიან გაახარა და დღეიდან მათი შემოქმედებითი პროცესი უფრო აქტიური და სასიამოვნო გახდება.

ვულოცავთ! D

შესანიშნავ ქალბატონს, გულო მელქაძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ჰფარავდეს მუდამ!

მეგობრები

განცხადება D

მიმდინარე წლის 1 მაისს, თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. №23-ში, გაიმართება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ბიოფერმი“-ს საერთო კრება კოოპერატივის წესდებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

კოოპერატივის წევრებისათვის დასწრება აუცილებელია.

კოოპერატივის გამგეობა

სურამის I საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობენ ამავე სკოლის დირექტორს დავით ჩადუნელს მამის

გურამის

გარდაცვალების გამო.

გაზეთის „ხაშურის მოამბე“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სურამის I საშუალო სკოლის დირექტორს დავით ჩადუნელს მამის

გურამის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.